№ 127

კვირა, 18 ივნისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 127

კვირა, 18 ივნისი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის **წლიური კრება** დანიშნულია 20 ივნისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1) 1894 წლის ანგარიში;
2) არჩევა მმართველობის წევრებისა;
3) არჩევა სარედაქციო და სარევიზიო კომისიის წევრებისა;
4) 1895 წლის ხარჯთ-აღრიცხვა;
5) მიღება ახალის წევრებისა;
6) განაწილება დივიდენდისა.

ГОДИЧНОЕ СОБРАНІЕ членовъ Кутаисскаго Издательскаго Товарищества назначено 20 іюня, въ 7 часовъ вечера, въ помѣщеніи Дворянскаго Банка.

Предметы занятій:

1) Отчетъ 1894 года;
2) Выборы членовъ правленія;
3) Выборы членовъ редакціонной и ревизіонной комиссій;
4) Смѣта за 1895 годъ;
5) Пріемъ новыхъ членовъ;
6) Распредѣленіе дивиденда.

(3—6—3)

**«ივერიის» რედაქციისაგან:** ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

**ამ ნომერში თორმეტი გვერდია.**

### დრამატიულ საზოგადოების კრების გამო.

დღეს დანიშნულია კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა, რომელმაც უნდა ამოირჩიოს საზოგადოების ახალი წევრები. სამწუხაროდ, აქამდის საზოგადოების წევრნი დიდს გულ-გრილობას იჩენენ, და ამ ფრიად საყურადღებო საგანს არ აქცევენ ჯეროვანს ყურადღებას, რის გამოც ქართულ წარმოდგენათა მართვის საქმეს არავითარი გაუმჯობესება არ ეტყობა დღევანდლამდის. სადამდის მიაღწია ასეთმა გულ-გრილობამ ეს იქიდგან მტკიცდება, რომ საზოგადოების წევრნი არას დროს არ ესწრებიან პირველად დანიშნულს კრებას და იქამდისაც-კი შეეჩვია ამას გარეშე საზოგადოება, რომ კვირას, როდესაც კრება უნდა შემდგარიყო, ბევრისაგან გავიგონე შემდეგი: „ვიცით, ტყუილად წავალთ, წევრები უთუოდ არ დაესწრებიან და კრება გადიდებაო".

ასეთი გულთა-მხილაობა გაუმართლდათ „ურწმუნოთ" და კრება არ შესდგა.

ამისათვის, უთუოდ, საჭიროა საზოგადოების განახლება, განახლება ისეთი, რომელიც შეიტანს საზოგადოებაში ახალს ელემენტს. ცხადია, რომ დღეს საზოგადოებას ენერგიაცა და სიცოცხლეც აკლია და საჭიროა მიძინებული საქმე გამოაფხიზლონ.

მეორე გარემოება, რომელსაც საზოგადოების ყურადღება უნდა მიექცეს, არის შემდეგი. ეს ორი-სამი წელიწადია, რაც ქართველს ხალხში დაიბადა სურვილი სახალხო წარმოდგენების მართვისა და ამ ბოლო დროს გულ-მოდგინედაც შეუდგნენ საქმეს ხალხთანვე დაახლოვებულნი. იმართებოდა, რამდენადაც-კი მათთვის მოსახერხებლი იყო, წარმოდგენები ტფილისში, აქაურ უფასო სასადილოში, სცენის საქმის მცოდნე პირთა დაუხმარებლად.

დღეს სცენისადმი სიყვარული, როგორც ეს გარემოება გვიმტკიცებს, ხალხში უკვე დაბადებულა, მაგრამ ეჭვი არ არის, ხალხის გულსა და გონებას სცენის მოყვარეთა თამაშობა სავსებით ვერ დააკმაყოფილებს და ვერც შესძლებს ჯეროვანად განმტკიცებას სცენის დანიშნულებისას ხალხის გულში. გონებრივი განვითარება და გრძნობათა გაკეთილშობილება, გაფაქიზება,—რაიცა თეატრის აზრია, აი, ამას უნდა მიაქციოს ყურადღება დრამატიულმა საზოგადოებამ; ამ შემთხვევაში იგი უნდა გაუხდეს მას ხელმძღვანელად, ეცადოს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ხალხში თეატრისადმი სიყვარულის მაგრად ფეხის მოკიდებას. ამგვარ საშუალებათ, როგორც თვით საზოგადოებაც სცნობს, დაგვისახავს პირველი ის, რომ ამ საქმის მოთავეთ და მტვირთველთ მიუჩემოს სასცენო საქმესთან საკმაოდ კარგად ცნობილი პირი და მისის დახმარებით გაუმჯობესდეს თეატრის გარეგანი მხარე, თვით სასცენო მიხვრა-მოხვრა და სხვანი. მეორე, ზნეობრივად მოვალეა საზოგადოება არ დაიშუროს შრომა და აღმზრდელის მზრუნველობა იკისროს პიესების ამორჩევის დროს სახალხოდ წარმოსადგენად, იმ პიესებისა, რომლებიც გონებას განუვითარებს ხალხს, გრძნობას გაუკეთილშობილებს და ეროვნულს თვით-ცნობიერებას აღუმაღლებს. ეს არის დიდი და ფრიად სასარგებლო საქმე და თუ ჯეროვანის ყურადღებით მოეპყრობა საზოგადოება ხალხის ძილიდგან გამოფხიზლებას, იგი მაშინ თავისს მოვალეობას, დანიშნულებას ბრწყინვალე შარავანდედით შეამკობს. ხალხი დღემდის თავგასართობს სულ სხვაგან ეძებდა: სვამდა, თამაშობდა და სხვა, რაც მას ზნეობრივად ხრწნიდა და გონებას უჩლუნგებდა; დღეს-კი თითონ აღუმაღლებია ხმა და ღაღადებს უკეთესი, გონივრული ცხოვრება მსურსო. ნუ-თუ არ უნდა დაეხმაროს დრამატიული საზოგადოება ამგვარს სურვილს!

მესამე საყურადღებო გარემოება ის არის, რომ ჩვენი სცენა ღარიბია, თეატრის საქმე მუდამ დაქვეითებულია. ყოველ ამას შველა ესაჭიროება. დღეს შენობა, რომელშიაც მოთავსებულია ქართული თეატრი, ქართველს თავად-აზნაურობას უნდა გადაეცეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თავად-აზნაურობა ყურადღებას მიაქცევს ამას და ისიც თავის მხრით დახმარებას აღმოუჩენს ეროვნულს სცენას.

ინ-ანი

# ფელეტონი

## ვარდი ატირდა.

—

მოვწყვიტე ვარდი ნარნარი,
სანატრი ქვეყანაზედა;
მწარედ ატირდა—მყის ცვარი
მან დამაპკურა მკერდზედა!
შეეხო სევდა, ნაღველი,
ცრემლი დაურთო ცრემლზედა;
ავაღებინე მას ხელი
ორის დღის სიცოცხლეზედა!..

—

ვარდი ატირდა... ვყოფილვარ
სიკვდილი შეჩვენებული!
ვარდი ატირდა... ვყოფილვარ
გრძნობებით დახავსებული!..
მე თუ მოვტაცე ფურჩვნილსა
სიცოცხლე ღილხინებული,
მაშ რაღათა ვგმობ სიკვდილსა,
რაღად ვარ აღშფოთებული!?

გრ. აბაშიძე.

---

## „Madame Sans-Gêne".

(მადამ სან-ჟენ)

ოთხ-მოქმედებიანი კომედია

ვ. სარდუსი და მოროსი.

(შემდეგი *).

### გამოსვლა 10.

იგინივე და ფუშე.

ლეფევრი. ძვირფასს დუკს გაუმარჯოს...

ფუშე. გამარჯობა, ძვირფასო მარშალო!.. (კატრინს) თქვენო უგანათლებულესობავ!

კატრინ. (ჩამცუღლობაზედ) გთხოვთ მომიტევოთ.

ფუშე. პირ იქით მე გთხოვთ, მომიტევოთ ასეთი ადრე მოსვლისათვის... ოო!... გრაფ ნეიპერ!.. თქვენ კიდევ არ წასულხართ?..

კატრინ. როგორ? თქვენ იცით?..

ფუშე. ჩვეულებისამებრ—ყველაფერი!..

ნეიპერ. (შეშინებული) ყველაფერი?

ფუშე. მაგრამ მე... ჩუმათა ვარ... აი ეს განსხვავება გახლავს ჩემსა და ჩემ მოადგილეს შორის... იმან თავისს დღეში არ იცის რა ხდება და როშავს-კი ყველაფერს (ნეიპერი ეთხოვება უგლებს).

ნეიპერ. ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მშვიდობით. (კატრინს) მომცემთ ნებას?..

კატრინ. რასაკვირველია! (ღოყაზედ აკოცნინებს).

ლეფევრი. მშვიდობით-კი არა—ნახვამდის! (ხელს მაგრად ჩამოართმევს).

ნეიპერ. ვინ იცის, როდის და სად გნახავთ!.. (ფუშეს) ნახვამდის დუკ!..

ფუშე. გზა მშვიდობისა! (იქით) და მალე დაბრუნებას გისურვებთ! (ნეიპერს ლეფევრი გააცილებს).

კატრინ. (ცრემლიანი) საწყალი ნეიპერ!.. ისე შეგვეჩვია და ახლა უნდა გაგვშორდეს!..

ფუშე. რა გაეწყობა... აღარ სწყალობენ... ამის გამო დღეს იმპერატორმა ერთი ამბავი დაუთია იმპერატრიცას...

კატრინ. იმპერატრიცას?...

ფუშე. დიაღ! ისე შეწუხებული იყო დედოფალი, რომ კონცერტის დროსაც-კი თრთოდა...

კატრინ. (იქით) აი ვინ ჰყვარებია!!. (ხმა მაღლა) სწორედ, ბედნიერებაა, რომ წავიდა და აღარ დაბრუნდება!..

ფუშე. ვინ იცის... რევოლიუციის შემდეგ ყველაფერი შესაძლოა. ყოველთვის, თქვენო უგანათლებულესობავ, როცა-კი გნახავთ... თქვენი წინასწარმეტყველური სიტყვები მომაგონდება: „თქვენ მინისტრი შეიქნებით მაშინ, როდესაც მე უგანათლებულესობის ხარისხი მექნებაო. თქვენ დიაღ უგანათლებულესი ბრძანდებით და მე ვიყავი, და კიდევ გავხდები მინისტრი!.. (ლეფევრი შემოდის).

ლეფევრი. წა—ჩაიცვი... არ დაგვაგვიანდეს!..

ფუშე. დროა! ყოველ წამს უნდა მოელოდეთ ნაპოლეონის დებს...

ლეფევრი. გესმის? (ხელს მოუჭკიდებს).

კატრინ. არაფერი მათ გუნებაზედ ვარ!

ლეფევრი. ჩქარა-მეთქი!.. გასწი!

კატრინ. ღმერთმანი, სულ ეს ამბავი წმინდა მასხარაობაა... ეს კნიკსენ და რევერანსები მკვდარსაც-კი გააცინებს... (მიდის თავისს ოთახში).

ფუშე. თუმცა მკაცრად არის ნათქვამი—მაგრამ მართალია-კი. მე ასე ადრე იმიტომ მოველ, რომ ერთს რაღაცაზედ გაგაფრთხილო!.. პირი შეთქვეს ნაპოლეონის დებმა, თქვენს ცოლს ფეხი წაამტვრევინონ!..

ლეფევრი. მე ეგ ვიცი!..

ფუშე. ისინი ახლავე მოვლენ აქა. ეცდებიან მოთმინებიდგან გამოიყვანონ მისი უგანათლებულესობა, წამოაცდენინონ რაიმე ხეპრული და ამ საშუალებით დაათხოვნინონ იმპერატორს სასახლიდგან...

ლეფევრი. გმადლობთ!.. მე დარაჯათ ვიქნები.. მაგრამ, ნუ-თუ ფიქრობთ, რომ ჩემთან ეგრე მოიქცევიან?..

ფუშე. ისინი ყველაფერს გაბედავენ, ყველაფერს, რადგან იციან რომ იმპერატორს ჰსურს თქვენ და თქვენი ცოლი გაგყაროსთ.

ლეფევრი. სწორედ დღეს მელაპარაკა იმპერატორი მაგ საგნის შესახებ.

ფუშე. ვიცი, სადილზედ... რა გაეწყობა, ჩემო ძვირფასო მეგობარო, იმპერატორს, ამ დიდებულს კაცს, ეგ სენად გადაჰქცევია. უნდა ყველა გააშოროს თავისს ცოლს და მერე ისევ შერთოს სხვა ქალი. იმას-კი იკითხავს, მოგწონთ თქვენ ეგ თუ არა!!.

ლეფევრი. მე ის მაკვირვებს, საიდგან გაიგეთ თქვენ, თუ რა მითხრა იმპერატორმა, როდესაც ჩვენ გარდა იქ არავინ ყოფილა.

ფუშე. სასახლეში მე საკმაო აგენტები მყავს!..

ლეფევრი. თვით იმპერატორის კაბინეტშიც?

ფუშე. ყოველგან!..

ლეფევრი. იმედი მაქვს... ჩემს სადგომში არავინ გეყოლებათ.

ფუშე. უსათუოდ, აქაც! დღეს აქ ორი იქნება—ერთი წინა ოთახში და მეორეც აქ, სალონში!..

ლეფევრი. თქვენ იმათ იცნობთ?

ფუშე. რასაკვირველია!..

ლეფევრი. თუ ღმერთი გრწამთ, მიმითითეთ ვინ არიან. ერთი ლაზათიანად გავამათრახო!..

ფუშე. როგორ შეიძლება... ეგ საიდუმლოდ უნდა დარჩეს...

ლეფევრი. მაშასადამე, სავარომ, თქვენმა მოადგილემაც, ყველაფერი იცის?.. მაგალითად თქვენ რომ იმისი ცოლი გწყალობთ?..

ფუშე. საყვარელო მეგობარო, აი აქედგან შეგიძლიანთ იმის ნიჭის შესახებ შესაფერი აზრი იქონიოთ!—იმან სრულიად არა იცის-რა!..

ლეფევრი. მაშ მისი აგენტები?..

ფუშე. ყველანი მე მემსახურებიან! (ქასმენ გამოჩნდება).

ლეფევრი. ოო... ეგ-კი სულ სხვაა!.. (სტუმრები გამოჩნდებიან შორს დერეფანში).

ფუშე. სტუმრებიც მოვიდნენ!.. (ლეფევრი მიეგებება).

ლეფევრი. გამარჯობა! ჩემი მეუღლე ეხლავ გიახლებათ!..

### გამოსვლა 11.

იგინივე, კანონვილ, მარტიმერ, ლორისტან, კორსო, მხედარნი და მოხელენი სასახლის ტანთ-ჩაცმულობაში, მადამ ბასსანო და ქალნი, ბალისათვის მოწყობილნი.

(სტუმრები მიესალმებიან და ცოცხლად მუსაიფობენ—ხან განშორდებიან, ხან ისევ მიდიან ერთი ერთმანეთთან).

ლეფევრი. (კანონვილს) მოხარული ვარ თქვენის ხილვისა...

კანონვილ. გმადლობთ, ძვირფასო მარშალო! (ფუშეს) დუკს ვახლავარ!

ფუშე. გამარჯობა! მე მითხრეს, რომ თქვენ ესპანიაში წაბრძანდით?

კანონვილ. ეს არის იქიდგან ჩამოველ. (კორსო სულ ფუშეს ათვალთვალებს) თუ შეიძლებოდეს მიბრძანეთ: ვის სწყალობს ახლა ნაპოლეონის უფროსი და, ისევ ჟუნოს?

ფუშე. სწორედ ისევ იმას! უმცროსი-კი ვის სწყალობს, ამას ვერც წარმოიდგენთ—ფონტანს!. (კორსოსთან მიდის) ძვირფასო მარშალო! მე

*) იხ. „ივერია" № 126.

# ახალი ამბავი

—

*** დღეს, 18 ივნისს, ტფილისის დრამატიულ საზოგადოების კრებაა დანიშნული ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში, რადგანაც პირველს კრებას საჭირო წევრთა რიცხვი არ დაესწრო.

*** მეორე საქალებო გიმნაზიაში წრეულს სწავლა-დამთავრებულ ქართველ ქალთა შორის ოლგა ფარადაშვილისამ ვერცხლის მედლით დაათავა ხსენებული სასწავლებელი.

*** ამ თვის გასულს ტფილისში მოელიან ახალს სახაზინო პალატის მმართველს საბლინს.

*** გორის საქალაქო სასწავლებლის აქტზედ დამსწრეთ დაათვალიერეს სასწავლებლის მუზეუმი. მუზეუმში განსაკუთრებითი ყურადღება მიიპყრო გლაუბერის მარილმა, ქვის ნახშირმა და სინგურმა. ეს ნივთეულობა ამავე სასწავლებლის მასწავლებელს ნაჭრენკოს აღმოუჩენია გორის ახლო. კავკასიის სამოსწავლო მზრუნველს იანოვსკის, რომელსაც აგრეთვე დაეთვალიერებინა სასწავლებლის მუზეუმი, ითხოვა რათა ეს ნივთეულობა გაუგზავნონ მას ტფილისში გამოსაკვლევად. ამავე ნაჭრენკომ გორის მიდამოებში აღმოაჩინა მადნის წყლები.

*** ტფილისის საქალაქო თვითმმართველობის კასსაში პირველ იანვრიდგან პირველ მაისამდე შემოვიდა 438,862 მან. და ერთი შაური; ამავე დროს განმავლობაში კასსიდგან დახარჯულა 306,802 მან., თხუთმეტი შაური და ოთხი კაპეიკი.

*** გზათ მინისტრს განკარგულება მოუხდენია, რომ რკინის გზის მოხელეთა ოჯახში საექიმოთ მიწვეულ ექიმის გზის ხარჯი ამავე გზის მმართველობამ უნდა იკისროსო.

*** ადგილობრივ რკინის გზათა მმართველობას მოსვლია განკარგულება იმის შესახებ, რომ მოსკოვის მომავალ გამოფენაზედ დასასწრებლად წასვლელნი ექსპონენტები, რომელნიც უნდა დაესწრნენ ტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფეთა ნაწარმოების გამოფენას, მუქთად უნდა წაიყვანწამოიყვანოს რუსეთის რკინის გზამ და მათ შორის კავკასიის რკინის გზამაცაო.

გამოფენა ამ წლის დეკემბერში გაიმართება.

*** „მეფე გიორგი XIII ცხოვრების“ დასაბარებლად, რომელსაც ზ. ჭიჭინაძე ჰბეჭდავს, რედაქციას კიდევ მოუვიდა ორი მანეთი ორის ეგზემპლიარის ფასი ი. ლორთქიფანიძისაგან.

*** როგორც ახალციხის მაზრის ექიმი აუწყებს ტფილისის საექიმო სამმართველოს განყოფილებას, ამ ჟამად აწყურში ძალიან თურმე გავრცელებულა ყვავილი.

*** რედაქციამ მიიღო ახლად დაბეჭდილი წიგნი „მოსე ხონელი და მისი ამირან დარეჯანიანი“, წერილი მ. ჯანაშვილისა. წიგნი შეიცავს 58 გვერდს და ღირს ორი შაური.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკი „კაცთაგანი ჭინჭრაქა და პატარა ლექსები“, შედგენილი და გამოცემული გ. ზ. გლუსტოვის მიერ. წიგნაკი შეიცავს 22 გვერდს და ღირს ორი შაური.

## კორესპონდენცია.

—

**ქ. ფოთი,** 14 ივნისს. თითქმის ერთი კვირა გავიდა, რაც ფოთელებს ცუდი დღე დაგვადგა. მოვწყდით ქვეყნიერობას ისე, რომ იმისი ჩვენ არაფერი გვესმოდა და ჩვენი იმას. ვეღარ დადიოდა ვერც საფოსტო, ვერც სახალხო და ვერც საქონლის მატარებელი. მიზეზი ასეთის ჩვენის განსაცდელისა იყო ამას წინდელი ხანგრძლივი და ძლიერი წვიმები; გიჟმაჟი რიონი და მისი თხელი ნაპირები და... და რკინის გზის ინჟენერი ბ-ნი კლიანოვსკი. პირველ სამ დამნაშავეთაგან რამდენიც უნდა ველაპარაკოთ და გამამტყუნებელი ოქმი ვუწეროთ, რასაკვირველია, ვერაფერს პასუხს მივიღებთ, ხოლო ბ-მა კლიანოვსკიმ-კი უნდა გვიპასუხოს და ანგარიში მოგვცეს იმ შეწუხებაში, რაც მისის შორს გამჭვრეტელობით თავს დაგვატყდა. საქმე ის არის, ბატონებო, რომ ფოთსა და ქალადიდს შუა რიონს მრავალ ალაგას მეტის-მეტად თხელი ნაპირები აქვს. წამოდიდდება თუ არა ეს მდინარე, ნაპირს გადმოდის, რკინის გზის ლიანდაგს აფუჭებს და მატარებელთა მიმოსვლას აჩერებს. კლიანოვსკის წინა მოადგილე პლავსკი თხელ ნაპირებს რიონისას ყოველს წელიწადს ამაგრებდა, დამბას უკეთებდა და ამნაირად რკინის გზა წყალ-დიდობის დროს უზრუნველ-ყოფილი იყო. ბ-მა კლიანოვსკიმ, არ ვიცი რამ აიძულა, მეტის-მეტმა ერთგულობამ სამსახურისამ თუ დიდმა გამჭრიახობამ გონებისამ, ასეთი წესი უარ-ჰყო. სამაგიეროდ წინადადება მისცა ქალადიდის მცხოვრებთ, რომ ადიდების დროს რიონის თქვენს კარ-მიდამოსაც ზარალს აძლევს და იმისი ნაპირები, თუ გინდათ, თქვენ გაამაგრეთო. ქალადიდელებმა, რა თქმა უნდა, ვერ შესძლეს ის, რასაც რკინის გზის მმართველობა ძნელად ახერხებდა. რიონმაც თავისი გიჟმაჟობა და ახირებულობა არ დაიშალა, ქალადიდელებიც აიოხრა, რკინის გზაც აზარალა და, როგორც ჰხედავთ, ჩვენც დიდი უსიამოვნება მოგვაყენა.

მაგრამ კლიანოვსკისაგან განაწირი, ვგონებ, არ გაგვწირა ღმერთმა. დღეს გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი გვეწვია, რომელმაც დაათვალიერა აქაური ნავთ-სადგური და სხვა ღირსშესანიშნავი ალაგი ფოთისა და იმედებით აღგვავსო. რაც-კი რამ ჩვენგან შესაძლებელია, არაფერს დავიშურებთ ფოთისათვისო, აღგვითქვა ძვირფასმა სტუმარმა. ნუ-თუ ეს აღთქმა თავმდები არ იქნება ფოთის გაძლიერებისა და მომავალ კეთილდღეობისა!

ღმერთმა ბრძანოს, რომ ამ ჟამად აბუჩად აგდებული ფოთი გამობრუნებულიყოს და მის ზრდა-წარმატებისათვის არაფერს შეეშალოს ხელი!

ლ. წულაძე.

—

**ს. წესი,** (რაჭის მაზრა). 13 მაისს სოფ. წესში მოვიდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ახალის ეკკლესიის საკურთხეველად. ეს ოთხი წელიწადი მეტი იქნება მას აქეთ, რაც მღვდელთ-მთავარი არ ყოფილა რაჭას; 14 მაისს ეპისკოპოსმა აკურთხა ხსენებული წესის ეკკლესია. შემდეგ ეკკლესიის კურთხევისა და წირვისა მღვდელთ-მთავარმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც პირველად მიულოცა ეკკლესიის აღმაშენებელთ ისეთის დიდის საქმის დაგვირგვინება, როგორიც არის ეკკლესიის აშენება. მოიწონა ეკკლესია, რომელიც მართლა მშვენიერი ხელოვნებით არის აშენებული. შემდეგ განუმარტა მსმენელთ მნიშვნელობა ტაძრისა და აუხსნა, თუ როგორ უნდა მოიხმარონ ეკკლესია სულის საცხონებელად. წესიდგან ეპისკოპოსი დ. ონისაკენ გაემგზავრა ს. სორს, იასურვა სამრევლო სკოლის მოწაფეების გამოცდა. მღვდელ—მთავარი დიდხანს ჰკითხავდა მოწაფეებს ისტორიიდგან, რომელსაც ბავშვები მშვენიერად უგებდნენ; დაათვალიერა მოწაფეების ქართულ-რუსული ნაწერები და აგალობა რამდენიმე ლოცვანიც.

გარდა სკოლის საგნებისა მასწავლებელი მინდელი მოწაფეებს ბაღოსნობასაც ასწავლის. თუ რამდენად სასარგებლოა ბაღოსნობისა და ბოსტნეულობის სწავლება სოფლის მოწაფეებისთვის, ეს ყველასათვის ცხადია.

ვ. ჭიჭინაძე.

## პასუხად ლანჩხუთელს კორესპონდენტს.

„ივერიის“ 107 ნომერში დასტამბულია წერილი დაბა ლანჩხუთიდგან აქაურ აფთიაქის შესახებ, რომელშიც

---

მსურს წარმოგიდგინოთ რაინდი კორსო!..

ლეჭევრი. დიდად, დიდად სასიამოვნოა!

კორსო. თქვენო უგანათლებულესობავ! (მძიმედ თავს უკრავს, ლეჭევრი სხვა სტუმრებთან მიდის).

ჭუშე. (ჩუმად კორსოს) რა იქმნა ნეიპერი?

კორსო. წავიდა!

ჭუშე. კარგად უდარაჯეთ იმისს დაბრუნებას!..

კორსო. მესმის, დუკო! (თავს უკრავს და მიდის სხვა სტუმრებთან. სავარი ცოლით შემოდის. ბაასობენ სტუმრებთან).

ლეჭევრი. მისი უგანათლებულესობა კიდევ არ გამოდის! ჟასმენ, მოახსენე გამობრძანდეს, ყველანი შეიკრიბნენ და იმპერატორის დებიც ეხლავ მობრძანდებიან. (ჟასმენ გადის) სავარის ვახლავარ! თქვენო უგანათლებულესობავ! (თავს უკრავს სავარის ცოლს).

სავარის ცოლი. მგონი, ძალიან ადრე მოვედით!

ლეჭევრი. (შეწუხებული) არ ვიცი, ღმერთმანი, რა დაემართა კატრინს!

სავარი. (ჭუშეზედ უთითებს) სულაც არა... აი ბატონი დუკი ჩვენზედ ადრე მოსულა...

ჭუშე. (ხელზედ ჰკოცნის სავარის ცოლს) მე ესეთი ჩვეულება მაქვს, ყველას უნდა დავასწრო!

სავარი. რა გაეწყობა!.. ეგეთია ბედი! (გადადის სხვებთან).

ჭუშე. (ლეჭევრს) სადღაა მისი უგანათლებულესობა?

ლეჭევრი. დამანებე თავი! ბრაზისაგან არ ვიცი რა ვქნა!

სავარი. მაგაზედ უკეთესს ვერას მოიფიქრებდა, კარგია რომ წავიდა!

ქ-ნი ბასსანო. ნეიპერზედ ლაპარაკობთ?

სავარი. დიაღ,

ქ ნი ბასსანო. იცით ნეტავი მიზეზი იმისი წასვლისა?

სავარი. როგორ არა!.. ძალიან საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა.

ჭუშე. მაგრამ ამ მიზეზის დასახელება მავას ერთობ გაუჭირდება...

ქ-ნი ბასსანო. თქვენ-კი იცით?

ჭუშე. მეშინია, თორემ...

ქალები. (ერთხმათ) გვიამბეთ! გვიამბეთ!

ჭუშე. ერთის პირობით, mesdames: მაშინვე დაივიწყოთ, რა წამს გაიგონებთ.

ქალები. უსათუოდ, უსათუოდ, ვფიცავთ!

ჭუშე. ვითომ დაგიჯეროთ?

ქალები. რასაკვირველია, რასაკვირველია!

ჭუშე. (ძალიან თავაზიანად) მაშ.. წარმოიდგინეთ, რომ მე ყველაფერი გითხარით და თქვენც ყველაფერი დაივიწყეთ! (თავს უკრავს და მოშორდება).

ქ-ნი ბასსანო. რა საძაგელი რამ არის!

ჟასმენ. (მედიდურობით) მისი უდიდებულესობა ნეაპოლიტანის დედოფალი! (ყველანი ადგებიან—ლეჭევრი მირბის შესახვედრათ).

გამოსვლა 12.

იგინივე კაროლინ და ელიზ, ჟარდენ და ერთიც სასახლეში მოსამსახურე.

ჟასმენ. მისი უმაღლესობა პრინცესსა დე-ლინ!.. (ლეჭევრი, ზურგით სადღესაკენ მოუძღვის, მძიმე თავასს დაჰკრით).

კაროლინ. (წინ მოდის და ნელა თავს უკრავს საზოგადოდ) მე აქ ვერა ვხედავ დანციგის დუკის მეუღლეს?

ლეჭევრი. მომიტევეთ, თქვენო უდიდებულესობავ, შეუძლოთ გახლავთ!

კაროლინ. (უკმაყოფილოდ) მართლა!!

ლეჭევრი. ცოტა შეუძლოთ გახლავთ. ეხლავ გიახლებათ და თვით მოითხოვს ბოდიშს თქვენ წინაშე!.. (კაროლინ და ელიზ წამოვლენ წინ. მაგიდასთან დასხდებიან).

კაროლინ. როგორ მოგწონთ ეგ? იგი ვალდებული იყო დაგვხვედროდა!..

ელიზ. მე მგონია, სჯობია ახლავ წავიდეთ!

კაროლინ. სრულებითაც არა. პირიქით უნდა დავრჩეთ და ჭკუა ვასწავლოთ ამისთანა ტუტუცობისათვის! (ლეჭევრს უნდა გაიდეს კატრინის ოთახში, ამ დროს იგი უცებ შეეფეთება წინ).

გამოსვლა 13.

იგინივე და კატრინ.

ლეჭევრი. (ხელს მოჰკიდებს) დალახვროს ღმერთმა, არ შეგეძლო ადრე გამოსულიყავ?

კატრინ. დამანებე თავი! ეს დაწყევლილი კაბა არა მწვდება, ღილები ვერ შევიკარ!

ლეჭევრი. ბოდიში მოიხადე კარგათ და დაუფიქრდი, რასაც იტყვი!.

კატრინ. კარგი... კარგი... ეს ინდოურები იმისათვის მოსულან, რომ რამეში გამაბან. მესმის... (ლეჭევრი მიჰყავს წინ. ნაშოლეონის დები ზურგს შეაქცევენ და ვითომ ვერ ნიშვნენ).

ლეჭევრი. თქვენო უდიდებულესობავ, აი მისი უგანათლებულესობა (მობრუნდებიან. კატრინ რევერანსით თავს უკრავს).

კაროლინ. (დრჯით) უთქვენოთ ჩვენ აქ მოგვწყინდა.

კატრინ. ვსთხოვ თქვენს უდიდებულესობას, თქვენს უმაღლესობას და ბატონთ სტუმრებს მაპატიონ.. მაგრამ როდესაც ამისთანა სადღესასწაულო კაბა უნდა ჩაიცვა ..(ლეჭევრი ხელს უქნევს გაშწარებული. ისმის ნელი სიცილი სტუმრებისა). კინაღამ გავსკდი ისე გამიჭირდა... (დაჯდება, მარაოს იქნევს... უნდა ძალიან თავაზიანობა გამოიჩინოს). ეგრე როგორ იქნება!.. თავი უნდა შეიქციოთ... რატომ არაფერს მიირთმევთ გასაგრილებელს?.. აბა.. რას ფიქრობს მარშალი? (ჟასმენთან მიდის და უბრძანებს შემოიტანონ. ქალები ერთმანერთს შეხედავენ და იცინიან).

სავარის ცოლი. ვნახოთ, რას მოგვაწოდებს?

ქ-ნი ბასსანო. (ელიზას), სად მოვედით, პრინცესა, (ელიზ მხრებს ასწევს. შემოაქვთ სასმელები, ჭადები, მურაბები).

კატრინ. (ჭუშეს) რა ამბავია, რომ ჩუმად იცინიან?

ჭუშე. თქვენ ეგ მოგეჩვენათ.

კატრინ. ხომ არაფერი სისულელე მითქვამს,

ჭუშე. სულაც არა!

კატრინ. მე ვხედავ, დამცინიან! ღმერთმანი სულ ამრევენ...

ჭუშე. თქვენც ნუ შეშფოთდებით. თვალი მადევნეთ მე... როდესაც ბურნუთი მოვსწიო, ლაპარაკი შესწყვიტეთ. თორემ, ვინ იცის. იქნება რამ მეტი წამოგცდესთ!

კატრინ. ძალიან კარგი (მიდის მაგიდასთან).

ჭუშე. საცოდავი ქალი! ძალიან მებრალება..

კატრინ. (კაროლინს) ჩაის არ ინებებთ, თქვენო უდიდებულესობავ!

კაროლინ. (გულ-გრილად) გმადლობთ. არა!

კატრინ. (ელიზას) აბა თქვენ, თქვენო უმაღლესობავ.

ელიზ. გმადლობ...

კატრინ. ჩემსავით ჰყოფილხართ! მეც არ გიახლებით... ძალიან მძულს ცხელი წყალი... იქნება უფრო რამე მაგარი ინებოთ? მადერა!..

კაროლინ. არც ჩაის, არც მადერას!.. (ქალები ფრუტუნებენ).

ლეჭევრი. (ჩუმად) ნუ ჩაიცვდი!

კატრინ. განა არ უნდა შევატყობინოთ, რომ ჩვენც გვესმის ზრდილობა და სტუმრის პატივის-ცემა!..

ლეჭევრი. ერთი შენც... ნუ ჩაიცვდი-მეთქი!..

კატრინ. (მხრებს იწევს. შენიშნავს კანონვილს) გამარჯობა კანონვილ... როდის დაბრუნდი... ძალიან გამიხარდა შენი ნახვა!..

სავარის ცოლი.. გაიგონეთ... შენობით ელაპარაკება... (სიფრთხილით იცინიან)

კატრინ. (ხელს მაგრად ჩამოართმევს აიღებს ჭიქას) შენი სადღეგრძელო იყოს!!

ქ-ნი ბასსანო... ხედავთ.., თითქოს დუქანში იყოს... (ჭუშე ბურნუთის კოლოფს თითს ურახუნებს. კატრინ რა შენიშნავს, ჭიქას დადგამს).

კაროლინ. (ხმა მაღლა)! თქვენო უგანათლებულესობავ!

ბატონი კორესპონდენტი ცილს სდებს ზემოხსენებულს აფთიაქს, რომ ვითომც ის ვერ ასრულებდეს თავისს მოვალეობას ჰყიდდეს წამლებს სამჯერ მეტ ფასად, ძველს და იმასაც დაუწმენდელს. მე, როგორც მმართველი ამ აფთიაქისა, ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს ვაცნობო პატივცემულს მკითხველს საზოგადოებას, რომ ზემოხსენებული კორესპონდენცია ყოველგვარს სინამდვილეს მოკლებულია.

რადგანაც თითონ წერილიდგან სჩანს ავტორის უვიცობა, იძულებული ვარ ავუხსნა ანბანური წეს-რიგი აფთიაქისა. ყველა აფთიაქი დამოკიდებულია საექიმო მმართველობისაგან, რომელიც ყოველ წლავ ნიშნავს რევიზიას შეიტყოს, თუ რა მდგომარეობაშია აფთიაქი: როგორის ღირსების წამლები აქვს ძველი, თუ ახალი, რამდენად სინამდვილით არის დადგენილი ფასი წამლებისა და სხვა და თავისს განაჩენს სწერს კერძოდ ამისთვის დანომრილსა და შემოწმებულს წიგნში.

ეს საზოგადო წესდება, რასაკვირველია, ჩემდამი რწმუნებულს აფთიაქსაც შეეხება. დავარწმუნებ ბატონს კორესპონდენტს, რომ ზემოხსენებულს რევიზიას ამ აფთიაქისთვის არასოდეს არ მიუცია ცუდი შენიშვნა. არა თუ რევიზიას, კერძო ექიმთაც არ განუცხადებიათ უკმაყოფილება, რომელთა მოწმობაც, ვფიქრობ, უფრო საბუთიანია.

რაც შეეხება იმას, რომ ბატონ კორესპონდენტის სიტყვით მე ვითომც დაუწმენდელს წამლებს ვყიდდე, კარგს იზამს, რომ მიიღებდეს შრომას და დრო გამოშვებით შემოივლიდეს და გვასწავლიდეს, თუ როდის ანკარა წყალივით წმინდა წამალი ვამზადოთ, — როდის მღვრიე.

ჩემის მხრით უნდა ვსთქვა, რომ ეს დამოკიდებულია წამლების ღირსებაზედ, ესე იგი რამდენათაც ისინი იხსნებიან წყალში, ან სხვა რამე სითხეში. აქედგან აშკარად სჩანს, რომ როგორიმე დასკვნის გამოყვანისათვის ამის შესახებ საჭიროა ჯერ ცოდნა საქმისა, მერეც გასინჯვა, ანალიზი. ხოლო ვერ გამიგია, თუ როდის იყო ბატონი კორესპონდენტი ჩემდა გაუგებრად ექსპერტათ დანიშნული საექიმო მმართველობისაგან ჩემდამი რწმუნებულს აფთიაქში, რომ ასე გულდასმით გვაუწყებს აფთიაქის ავ-კარგს?

თუნდაც რომ . კორესპონდენტი მცოდნე პირი იყოს, მაინც გავლით ან ერთხელ შესვლით დაფასება აფთიაქის ავ-კარგიანობისა ყოვლად შეუძლებელია.

დამრჩენია მოლოდ ერთი მოსაზრება, — ის, რომ კერძო ინტერესი ჰქონია ჩემდამი? ამ შემთხვევაში დიდ გზას ასცდა ბატონი კორესპონდენტი, რომელსაც პირად ჩემდამი უკმაყოფილების გამო აფთიაქი გამოირჩია სასპეზოდ.

დაბა ლანჩხუთის აფთიაქის მმართველი იოსებ ჟღენტი.

1895 წ. 4 ივნისი.

## შინაური ცხოვრება.

პეტერბურგში შესდგა აქციონერთა საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს ცხენის რკინის გზების გაკეთება რუსეთის იმპერიის ქალაქებში. საზოგადოების წესდება მთავრობამ უკვე დაამტკიცა. საზოგადოებას განზრახვა აქვს ტრამვაის მოწყობა არა მარტო ქალაქებში, არამედ ქალაქებსა, უმთავრეს სოფლებსა და დაბებს შუა. საზოგადოება თვისის ხარჯით გაიყვანს ცხენის რკინის გზას და შემდეგ ან მიჰყიდის ვისმე ან იჯარით გასცემს.

—

გაზეთ „მოსკოვსკ. ვედომ“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა პეტერბურგიდგან: მთავრობას წარედგინა დასამტკიცებლად „რუსულ-გერმანულ საკრედიტო საზოგადოების“ წესდება. ახალს ბანკს საგნათ აქვს აძლიოს სესხი მევენახეთ ღვინის გირავნობით.

—

სახელმწიფო ქონებათა და სამიწათმოქმედო მინისტრი ერმოლოვი საზღვარ გარეთ წავიდა ერთის თვით. დაბრუნების შემდეგ, როგორც უკვე გვქონდა გაზეთში მოხსენებული, ციმბირს წავა ახალშენების საქმეთა დასათვალიერებლად და შესასწავლად.

—

გარდაცვალებულის ბუნგეს მაგიერ მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარედ დროებით დაინიშნა საერო განათლების მინისტრი დელიანოვი.

—

9 ივნისს დიდის ამბით დაასაფლავეს ქალაქ კიევში ნ. ქ. ბუნგე.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ამ დღეებში მემარცხენეთ კრება ჰქონდათ, რომელზედაც გრძელი სიტყვა წარმოსთქვა ამ ჯგუფის წინამძღოლმა გუიო-დესენმა. ორატორმა ჯერ პატივისცემით მოიხსენია რესპუბლიკის პრეზიდენტის მოღვაწეობა და შემდეგ აღნიშნა მთავრობის პოლიტიკა. ორატორმა მიაქცია ყურადღება, რომ მთავრობა მეტის ენერგიითა და მხნეობით უნდა შეებრძოლოს კლერიკალთა მისწრაფებას, რათა სამუდამოდ აიცდინოს თავიდგან ვატიკანის გავლენა. გუიო-დესენი აცხადებს, რომ ის და მისი პარტია თანაუგრძნობენ შემოსავლის დაგვარად გარდასახადის დაწესებას და მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კანონმდებლობის გაძლიერებას. ორატორმა თანაგრძნობა განუცხადა საზოგადოდ რადიკალთა პროგრამას.

—

**გერმანია.** ივლისის დამდეგს დიდს დღესასწაულს გარდიხდის კლერიკალთა პარტია თვის შესანიშნავ წინამძღოლის ვინდჰორსტის მოსახსენებლად. იმ დროისთვის მზათ იქნება ძეგლი გამოჩენილის სახელმწიფო მოღვაწისა, რომლის სიკვდილით ბევრი დააკლდა არა მარტო პარტიას, არამედ მთელს გერმანიასაც.

—

**ინგლისი.** წარსულს კვირას ლონდონში მრავალი მიტინგები იყო გამართული, რომლის გამმართველნიც ქალები იყვნენ. ქალებმა წარმოსთქვეს სიტყვები მაგარ სასმელების ხმარების წინააღმდეგ და დადგენილება მოახდინეს — იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ კანონით აღკრძალულ იქმნას მაგარ სასმელებით ვაჭრობა. მიტინგზედ დასასწრებლად ამერიკიდგანაც ჩამოვიდნენ ქალები. ამ ქალთა მოძრაობის დამწყებია გამოჩენილი ლედი ჰენრიეტ სომმერსეტ.

—

**ბულგარია.** როგორც ვიცით, ამას წინად ბულგარიაშიაც იფეთქა ამბოხებამ ოსმალეთის წინააღმდეგ. ეს ამბოხება ჯერაც არ შეწყვეტილა. მეხუთე დღეა, რაც მეამბოხეთა და ოსმალის ჯარის შორის თოფის სროლაა გამართული. ოსმალოს მთავრობა ადგილობრივ მცხოვრებლებს ჰენრი მარტინის თოფებს ურიგებს; პოლკანსა, კრეჩოვსა და პრეხოვში ადგილობრივი მცხოვრებლები გამოიწვიეს მეამბოხეთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ადგილობრივ მცხოვრებლებთა რაზმში ბულგარელებიც ერივნენ, მაგრამ მათ თვისი იარაღი ოსმალების წინააღმდეგ იხმარეს. პოლკანში მოიტანეს დახოცილ ოსმალთა გვამები, მოიყვანეს აგრეთვე რამდენიმე ხელფეხ შეკრული სოფლელი. ქუჩებზედ დახოცილ მეამბოხეთა თავები დააქვთ შუბებზედ აგებული, რათა მით შეაშინონ მეამბოხენი.

## შესაწირავი.

არტისტის ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ ჩვენ მოგვივიდა ანტ. ფურცელაძისაგან 5 მან.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ყველა ქართველმა კაცმა იცის, რომ ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი არის მშვენება და თავმოსაწონებელი ჩვენი სცენისა. დღეს ამ მაღალი ნიჭის პატრონს ეწვია უბედურება, რომელიც შეადგენს ჩვენი სცენის უბედურებასაც. იმან დაჰკარგა ხმა და ამითი შეიქნა სრული

---

კატრინ. (უცებ მობრუნდება) თქვენო უდიდებულესობავ!. (მობრუნების დროს კაბის კუდში იხლართება) ეს რა მემართება! (უნდა გაასწოროს და კიდევ უფრო იხლართება, ყვალას გაეცინება)

ქ-ნი ბასსანო. (იცინის) შეხედე, შეხედეთ... რა მშვენიერი მიმოხვრა აქვს!!

კატრინ. მაპატიეთ, თქვენო უდიდებულესობავ, ვერ შევნიშნე ამ დაწყევლილს კუდს!. მოდი შე და გამოძვერ... აქედამ... (კანონვილს უშველის) შეხედე დამცინიან!..

კანონვილ. სულაც არა, ...ს ბრძანებთ!..

კატრინ. ვერა ხედავთ განა?.. (გაისვრის კუდს და მიდის სარკესთან) თქვენის უდიდებულესობის... სამსახურისათვის მზად გახვართ!

ლეფევრი. (ფუშეს) ასე განსაცდელი არ გამომივლია მაშინაც, როდესაც დანციგის ციხე პირველად ავვარდი!

კატრინ. (თეფშს მიაწვდის) იქნება თქვენო უდიდებულესობამ ტკბილეულობა მიირთვათ!! (სიცილით).

კაროლინ. (დაცინებით) მე არ მიყვარს ტკბილეულობა!

კატრინ. (ელიზას) თქვენო უმაღლესობავ?..

ელიზ. არც მე! (კატრინ სახტად დარჩება თეფშით ხელში)

კაროლინ. თუ ეთანხმებით, mesdames, მისს უგანათლებულესობას მარშლის მეუღლე ახირებული ილო აქვს!

ქალები: (რასაკვირველია, დიაღ!) მაგალითად... როგორ მოგწონთ... ეგ... ტკბილეული... ძალიან... ახირებულია (კატრინ თეფშს დასდებს მაგიდაზედ და მიდის ფუშესთან. ლეფევრიც იქ მავა).

კატრინ. (გულ-მოსული) ხომ გითხარით, რომ სასაცილოდ მიგდებენმეთქი!

ფუშე (ამშვიდებს) გარწმუნებთ... თქვენ ეს გეჩვენებათ...

კატრინ.. მეჩვენება?.. მაშ მე იმათ ვაყურებინებ მათ თვალის სეირს... მგონი თავის დღეში არ დაავიწყდეთ (ფუშე ამშვიდებს).

კაროლინ... არ იქნება ცუდი, რომ ჩვენი მეცნიერნი აკადემიკოსნი მოისმენდნენ მისის უგანათლებულესობის სიტყვა-პასუხს... ისინი ბევრს საჭირო სიტყვებს გაიგონებენ თავიანთ ხალხურ ლექსიკონისათვის...

კატრინ. (ლეფევრს) გაიგონე! (მუქარით) ოოო!!

ლეფევრი. დაჩუმდი მეთქი!..

კაროლინ. ამგვარს ენას ბაზარში თუ გაიგონებს ადამიანი...

კატრინ. (წინ მიდის. ლეფევრი მისდევს) ხომ გესმის... თვითონ იწყებენ... წამლის სუნია? მაშ კარგი... ნუ შევშინდებით!..

კაროლინ. ერთი მითხარით, თქვენო უგანათლებულესობავ, ეგ მართალია თუ არა, რომ თქვენ გადაარჩინეთ გრაფი ნეიპერ 10 აგვისტოს.. თქვენს ოთახში გყავდათ დამალული. (იცინიან. ლეფევრი გაჯავრებული მოდის წინ, კატრინ ხელს წაავლებს და უკან მიათრევს).

კატრინ. შენ სსუ! ეს მე შემეხება! (მიდის კაროლინასთან). თქვენა მკითხავთ, რომ ჩემს ოთახში, დღისით თავი შევაფარებინე მძიმეთ დაჭრილს და მით დავიხსენ სიკვდილისაგან? დიაღ, ეგ მართალია!

კაროლინ. მაშ ნეიპერ კარგად მოიქცა, რომ..

კატრინ. (დიდილით) დაიმალა ჩემს სამრეცხელოში? დიაღ!..

ელიზ. მართლა! თქვენ მაშინ...

კატრინ. (განაგრძობს) მრეცხელი გახლდით? დიაღ, მართალია, თქვენო უმაღლესობავ! (ქალები შეშფოთდებიან ისმის: ნუ თუ მრეცხელი?“) როგორც ხედავთ... მე ამას არა ვფარავ! ჯაფა და მუშაობა უსინდისობა არ არის! არიან მხოლოდ უსინდისო კაცნი!.. და თუ მე სიტყვა-პასუხი უბრალო კილოსი მაქვს, ამისი (შეხედავს მხედრებს) სრულებით არა მრცხვენიან, რადგან მთელმა ქვეყანამ იცის, რომ მამაცი მურატ, თქვენი მეუღლე, ეხლანდელი მეფე ნეაპოლისა, სასტუმროს პატრონის შვილია; იქვე სასტუმროში ხელზედ ემსახურებოდა სტუმრებს და ბევრი იმათგანი, რომელნიც ეხლა იმას მოწიწებით მოახსენებენ „თქვენო უდიდებულესობავ!. მაშინ უყვიროდნენ „ეი! ბიჭო! თეფში გამომიცვალეო!“

კაროლინ. და თქვენ ჰბედავთ...

კატრინ. დიაღ, ვბედავ! აქ სამარცხვინო არა არის-რა თუ ვინმე არარაობისაგან დღეს დიდებით არის შემოსილი, ის მხოლოდ თავის-თავის მადლობელი უნდა იყოს და არც შერცხვება თავისი წარსული მოიგონოს!

კატრინ. (გულ-მოსული) არავინ არ ამბობს ამას, რომ წარსული დაივიწყოს ადამიანმა, მაგრამ საჭიროა აღზრდა, ზრდილობიანობა!. შეუძლებელია საფრანგეთის მარშლის ცოლს მედუქნის ყოფა-ქცევა და მიხვრა-მოხვრა ჰქონდეს?

კატრინ. (მხიარულად) დიაღ, მე მედუქნეთ ვყოფილვარ! ჩემი პატარა დუქანი, სადაც ჯარი წავიდოდა, იქ გადამქონდა! (ქალები იცინიან).

კაროლინ. მშვენიერი აღზრდაა... სამრეცხველოში დაწყებული და ყაზარმებში დამთავრებული...

ელიზ. ჯარის კაცთ შორის, რომლებიც არაყსა სმენ და შენობით ელაპარაკებიან!

კატრინ. თქვენ ყველაზედ ნაკლები უფლება გაქვთ, რომ მაგვარად დამაყვედროთ! (კატრინ კიდევ მიუახლოვდება)

კაროლინ. (მარაოს უცებ დაჰკეცს და შეაჩერდება კატრინს, რომელიც ყვლას მედიდურად უცქერის) რას ამბობთ?

კატრინ. მე ვამბობ და ასჯერ განვიმეორებ, რომ მძინებია შიშველ მიწაზედ ამ მხედრებთან ერთად და ესენი ისე მეპყრობოდნენ, როგორც შეეფერებოდა პატიოსანს ქალს, როგორც შეეფერებოდა იმ ხელობას და წოდებას, რომელსაც მე უფრო ღირსეულად ვატარებდი ვინემ თქვენ თქვენსას, თქვენო უდიდებულესობავ!. მე ვამბობ, რომ იმათთან ერთად გავიარე მთელი ევროპა და როდესაც ტყვია სეტყვასავით მოდიოდა, ზარბაზნები ქუხდნენ ვითა გვრგვინვა ზეცისა, მე იმ დროს ვუვლიდი დაჭრილებს, ვანუგეშებდი მომაკვდავთ, თვალთ ვუხუჭავდი მოკლულებს! თუნდ მარტო იმისათვისაც ვყოფილიყავ, რომ წყალი მიმეწოდინა მწყურვალე ჯარის კაცისთვის, მაინც მე, მედუქნეს, მრეცხელს უფრო მეტი სამსახური მიმიძღვის და უფრო მეტი მიშრომნია თქვენთვის, ვინემ თვით თქვენ, რადგან ჩვენ ვღვრიდით თქვენთვის სისხლის ნიაღვარსა, მაშინ როდესაც მთელი თქვენი ღირსება მხოლოდ ის არის, რომ თქვენ ნაპოლეონის დები ხართ! (მიდის ლეფევრთან. კაროლინ თან მისდევს).

კაროლინ. თქვენ ისრე ლაპარაკობთ, როგორც მრეცხელი, რომელიც ყმაწვილობისას ჭუჭყიან საცვლებში ხელს ურევდა!

კატრინ. მხოლოდ თქვენსაში არა, თქვენო უდიდებულესობავ, იმიტომ რომ მაშინ თქვენ საცვლებიც არა გქონიათ!

კაროლინ. ოო! ეგ მეტის მეტია! ამ სიტყვებისათვის ინანებთ, თქვენო უგანათლებულესობავ?

კატრინ. არასოდეს!

კაროლინ. ვნახოთ! (მიდის, უკვდანა თავს უკვრეს) mesdames, გთხოვთ წამომყვეთ. (ქალები მიმყვ თავს უკრავენ კატრინს და გაჰყვებიან პრინცესსას, ფუშე მიუახლოვდება მაგიდას. მხიარული ლეფევრს ხელი მოუხვევია კატრინისათვის. მხედრები გარს შემოეხვევიან)

კანონვილ. როგორც მხედარი გმადლობთ ჩემის ამხანაგებითურთ! (მიდიან).

ფუშე. ეგ თქვენ ძალიან ძვირად დაგიჯდებათ, თქვენო უგანათლებულესობავ (მიდის).

კატრინ. დიდი საქმეა! მე იმათ.. მართალი მივახალე, გულზედ მომეშვა და ახლა რაც მოსასვლელია, მოვიდეს!

გამოსვლა. 14

კატრინ, ლეფევრ, ბრიგოდ და ჟასმენ.

ჟასმენ. (კარებში) ბატონი ბრიგოდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკარგისი სცენისათვის. იმან შეჰკრიბა უკანასკნელი თვისი გროშები და წავიდა საწამლებლად. დღეს მოდის ამბავი, რომ საუკეთესო ექიმთა დახმარებით ხარკოვში იმას მოსდის ისევ ხმა. მაგრამ ამ სიკეთის დროს იმას შეჰმოღევია თავისი უკანასკნელი აქედგან წაღებული ფულები, რის გამოც იძულებულ ხდება დაბრუნდეს მოურჩენელი. იმედია ჩვენი ქართველი საზოგადოება, რომელიც ამ ბოლოს და ბოლოს იჩენს მხურვალე გულის ტკივილს ყველა საზოგადო საქმეში, არ დაიშურებს და თავისს უკანასკნელს წვლილს და დროთი მიაშველებს შეწეობას ჩვენს სახელოვანს არტისტს, რომ კვალად დაუბრუნოს ის ჩვენს სცენას.

ანტ. ფურცელაძე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

16 ივნისი.

**პეტერბურგი**, 16 ივნისი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია იმპერატორის მიერ დამტკიცებული წინადადება ციმბირის რკინის გზის კომიტეტისა იმის შესახებ, რომ სხვა-და-სხვა შეღავათი აღმოეჩინოს ხოლმე ციმბირში გადასახლებულთ, რომელნიც რკინის გზის მუშაობაში იღებენ მონაწილეობას.

იქვე დაბეჭდილია იმპერატორის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს ორი დადგენილება: 1) შემნახველ კასსების ახალის წესდების გამოცემის შესახებ და 2) იაფის კრედიტის დაწესებულებათა დაარსების შესახებ.

**მიტავა.** დიდის ამბით გარდახდილ იქმნა ასის წლის იუბილე კურლანდიის შეერთებისა რუსეთთან. არხიეპისკოპოსის წირვის შემდეგ გუბერნატორმა ინახულა კურლანდიის ყველა წოდებათა დეპუტაციები და წაუკითხა მათ შინაგან საქმეთა მინისტრის დეპეშა, რომლითაც მინისტრი ამბობს, რომ იმპერატორს სიამოვნებით მიუღია კურლანდიის განზრახვა ასის წლის იუბილეს დღესასწაულობისა.

**ლონდონი**, 15 ივნისი. მანიფესტში ჩამბერლენი ამბობს: უნიონისტები თანახმად უარ-ჰყოფენ გლადსტონისა და როზბერის სამინისტროთა კანონებს, რომელნიც სცვ ლიან ინგლისის სახელმწიფო წეს-წყობილებას და ინგლისისათვის მავნებელნი არიან. ეს პარტია უმთავრესს ყურადღებას აქცევს სოციალურსა და პოლიტიკურს რეფორმებს და სახელმწიფოს სამხედრო წესის გაუმჯობესებასა და გაძლიერებას.

**ვენა**, 15 ივნისი. გაზეთ „ფრემდებლატი“ ამბობს: თუმცა ავსტრიუნგრეთის მთავრობას არ მიუღია მონაწილეობა სამთა სახელმწიფოთა მოქმედებაში სომხეთის საქმეების შესახებ, მაგრამ მაინც სცდილობდა დაერწმუნებინა ოსმალეთი, რომ რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის წინადადებანი ოსმალეთისათვის სასარგებლოაო. ხოლო რაც შეეხება მაკედონიაში მომხდარს ამბებს, ამათ არავითარი ყურადღება არ უნდა მიექცეთ, რადგანაც ბულგარიის მთავრობამ პირდაპირ აღკრძალა აჯანყებულთ რაიმე დახმარება აღმოეჩინოთ ბულგარიიდგანაო.

**რომი**, 15 ივნისი. კავალოტტმა წერილი დაბეჭდა გაზეთებ'ში, რომ ჩემს წიგნში მოხსენებულს ბრალდებას კრისპის წინააღმდეგ სასამართლოს წინაშე დავამტკიცებო.

**ბელგრადი**, 15 ივნისი. მთავრობას არავითარი ამბავი არ მიუღია არც მაკედონიიდგან და არც ძველ სერბიიდგან იქ მომხდარ აჯანყების შესახებ, როგორც ამას სოფიიდგან იუწყებიან.

17 ივნისი.

**პეტერბურგი.** „პრავიტ. ვესტ“-ის დღევანდელს ნომერში დაბეჭდილია წესდება იაფი კრედიტის დაწებულებათა.

**ოდესა**, 17 ივნისი. იაპონიის მთავრობა წინადადებას აძლევს ქალაქს მოახდინოს ოდესაში თვის ფაბრიკებისა და ქარხნების ნაწარმოების გამოფენა. ქალაქი თანახმა არის და უთმობს იაპონიას გამოფენისთვის საჭირო შენობას.

**ლონდონი**, 16 ივნისი. ლორდთა პარლამენტში სოლსბერიმ განაცხადა, რომ ჯერ დრო არ არის ახალის მთავრობის პოლიტიკის პროგრამის გამოცხადებისათვის; ჯერ-ჯერობით საჭიროა პარლამენტის დათხოვნა. პარლამენტი დათხოვნილ იქნება 8 ან 9 ივლისს.

გონკონკიდან იუწყებიან, რომ იაპონია აგროვებს თვის სამხედრო გემებს მაკუნგის მახლობლად და ემზადება, რათა „შავს დროშებს“ თავს დაესხას.

---

იმპერატორის კამერჰერი! (ლეჭევრი შეხვდება).

კატრინ. მოვიდა განკითხვის დღე?

ბრიგოდ. (შემოდის) ბატონო, მარშალო, იმპერატორის ბრძანებით, მე მოვსთხოვ დანციგის დუკის მეუღლეს (თავს უკრავს კატრინს) მიბრძანდეს იმპერატორთან ამ წამსვე!!

კატრინ. ნება მომეცით, ქურქი მოვისხა... (ბრიგოდ მიიმალება).

ლეჭევრი. დაუჩქარე, დაასწარ, სანამ მისი დები რასმე მიურო შავდნენ...

კატრინ. ძალიან არ მახსოვს ისინი... შენ... შენ... ძალიან მიჯავრდები?!.

ლეჭევრი. მე ყოველთვის გეუბნებოდი, კატრინ, რომ შენი ენა სიკეთეს არ დაგაყრის!.. მაგრამ... (ხელს მოეხვევს) მაინც, დღეის შემდეგ, ასჯერ უფრო მეტად მიყვარხარ, თუნდ ამ სიყვარულის გამო მარშლის კვერთხი და დუკის წოდება ორივე ერთად დავკარგო!!.

კატრინ. (ყელზედ მოეხვევა) მე ყოველთვის ვამბობდი, რომ შენ ძვირფასი გულისა ხარ! (მაგრად ჰკოცნის)... ახლა-კი იმპერატორთან!!.

(ფარდა ჩქარა დაეშვება).

კ. მესხი.

(შემდეგი იქნება).

---

„ივერიის“ ფოსტა.

**ახალ-სენაკში—ალ. პეტრ. ჭანტურაიას**: ფული მიღებისთანავე გადაეცა დანიშნულებისამებრ. შეგიძლიანთ მიჰმართოთ წიგნების გამომცემელს ამხანაგობას.

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. **ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბაჩინისა**, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. შ. კარაპეტიანცი**, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპ[ტის ნ]აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

---

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!

# ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლეულის საპონი

# გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თვითო ნაჭერისა 50 კაპ., $^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აგმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გროვნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან

(24—2—9)

---

ნომრები „**ბაქო**“

ახლად გადაკეთებული, ოთახები მაღალი, სრული და ნათელია. მეტი ნაწილი ოთახებისა ორ-ორ ოთახად არის მოწყობილი. ფასები 50 კაპიკიდგან 5 მანეთამდის; თვიურად 12 მან. 60 მანეთამდის. ნომრები იმყოფება ელისაბედის ქუჩაზედ, № 25, ყორღანოვის ტრამვაის მახლობლად, ქ. ტფილისს.

პატრონი ნომრებისა ექვთიმე კვაჭაძე.

(3—1192—1)

---

ამ დღეებში გამოვა გასაყიდად

**თ. რაფიელ ერისთავის**

# თხზულებანი

პირველი ტომი

რომელშიაც მოთავსებულია ყველა ლექსები და არაკები; წიგნი შეიცავს 400 გვ. ავტორის პორტრეტით და ფაქსიმილეთი.

---

# ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისესისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარ სარჩებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(15—„)

---

# კელლერის მმრის ესენცია

ისყიდება **ყველგან** და **ყველა** გამოჩენილ ვაჭრებთან,

რადგანაც კარგის თვისებისაა ხსენებული

კ ე ლ ლ ე რ ი ს  მ მ რ ი ს  ე ს ე ნ ც ი ა,

იგი ყველაზედ უკეთესია, სყიდვას დღითი-დღე წინ-სვლა ეტყობა და წარ სულს წელს **500,000** ფლოკონი გაიყიდა.

ამიტომ ამხანაგობამ ფასი ძირს დასწია.

იაფ ფასად სხვა წამბაძავებიც ჰყიდიან, მაგრამ იაფად ისყიდება მათი ნაწარმოები იმიტომ-კი არა, რომ ბევრი სადდება, კონკურენციისათვის და ამიტომ წყალში გახსნილია და ნაკლებად აქვს ძალიან ესენციის (მმრის ამო გემოვნება).

(2—1)

---

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 §-ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ 24 და 26 ივლისს ამა 1895 წლისას, დღისით 12 საათზე, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახდელების შემოუტანლობისთვის, მე 13, 14, 15, 17, 18 და 19 §§ მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ზემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება საერობო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელ-ვადიანი სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქმნება თავისს დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანეთად, და აგრეთვე ბანკის თანხმობით ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი; სავადო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნას შემოტანილი.

ვინიცობაა ამ წლის 24—26 ივლისს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე 21 §-ს საფუძველისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქმნება 9 აგვისტოს ამავე წლისას. ბანკის წესდების მე 16 §-ის თანახმად, გრძელ ვადიანის ვალის მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი, სარგებლით ვადაზე შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივეხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშვნისათვის ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

ქალაქის მამულების ვაჭრობა იქმნება 24 ივლისს, სოფლის მამულებისა 26 ივლისს.

**ძველი კატეგორიისა.**

ა) ქალაქის მამულები.

ბეთანოვი სტეფანე ივანეს ძე. ორსართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველგვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 და სიგანით 13 საჟენი, ქ. ახალციხეს. თავნი ვალი 1929 მ, 21 კ., შემოსატანი გარდასახადი 196 მ. 24 კ. და სულ 2125 მ. 45 კაპ.,

**ძ ვ ე ლ ი  კ ა ტ ე გ ო რ ი ი ს ა**

ბ) სოფლის მამულები

ამირაღოვი აბელ ივანეს ძე. სახნავსათესი და სასახლკარე ადგილი, შენობით და ბაღით, მიწა ზომით 151 დესეტინა, 300 ოთხ-კუთხი საჟ., ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. ბრეთში. თავნი ვალი 7639 მ. 60 კ., შემოსატანი გარდასახადი 364 მ. 78 კ. და სულ 8004 მ. 38 კ.

გერესელიძე ანასტასია გრიგოლის ასული. სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 104 დესეტინა 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ბოგვში. თავნი ვალი 2567 მ. 02 კ., შემოსატანი გარდასახადი 53 მ. 16 კ. და სულ 2620 მ. 18 კ. და შეღავათით შემოსატანი 115 მ. 97 კ. თანასწორად განაწილებული სამ ნახევარ წლად.